სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება 37

ქ.გურჯაანი ივლისი, 2019 წ

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი ს/კ 227767841) მისი დირექტორის **ვალერი შოშიაშვილის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) და მეორეს მხრივ შპს „სამება 2014“ ს/კ 427719668(შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“)– შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.„მიმწოდებელი“–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.„საქონელი“– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი:

2.1.შესყიდვის საგანს წარმოადგენს სასმელი წყლის და მინერალური წყლის მიწოდება. კლასიფიკატორისკატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი: **CPV**კოდი: 15981000, 41110000.
2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდება უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **155 (ასორმოცდახუთმეტი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3. ხელშეკრულებაში ფიქსირებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და შესაბამისად ღირებულება წარმოადგენს რა საორიენტაციოს, შემსყიდველი ვალდებული არ არის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოახდინოს საორიენტაციო ღირებულების შესაბამისად განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულების სრულად ათვისება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1.შემსყიდველი უფლებამოსილია: ა)განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) მომსახურების მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
4.2. შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია: ა) მიაწოდოს მომსახურეობა სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-8 მუხლში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი:

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს მიწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება:

შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი:

მიმწოდებელი შემსყიდველს გაუწევს მომსახურეობას, წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტსა და შესაბამის ფინანსურ დოკუმენტს;

8. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა:

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი"-თამარ მეფის ქ.16, 2019 წლის 31 ივლისამდე

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდაყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.2.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შეწყვეტის წესი:

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების 10%-ზე მეტი ოდენობით:
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5.ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს:
10.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისშეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტომდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა.ა.ი.პ „გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი "
ს/კ: 227767841, სახელმწიფო ხაზინა,

დირექტორი: ---------- /ვალერი შოშიაშვილი/

GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER
Digitally signed by GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER
Date: 2019.07.17 13:04:30 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს "სამება 2014"
გურჯაანი.
ს/კ 427719668
ანგ: GE74BG0000000838256600
ტ: 557786741
sameba.2014@bk.ru

დირექტორი:----------